პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 ივლისი შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 164 (15377)

ხუთწლედი — ვადაზე ადრე!

თავი ისახელეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის ნ. ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რ. ყვანია) ჩაის კრეფის მაისი-ივნისის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა. ამ კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს სამშობლოს მისცენ გეგმით გათვალისწინებულზე მეტი ჩაის ფოთოლი. მუყაითი შრომით გამოირჩევიან მეჩაიეები ნუნუ და ზინა ბერაიები. მათ მხარში უდგას საშუალო სკოლადამთავრებული ნათელა ზონია, რომელსაც თქვენ ამ სურათზე ხედავთ. იგი ყოველდღიურად 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. სურათზე: ზემოთ — ნ. ზონია.

გ. ბოგოლიუბოვის ფოტო.

ეთი წელია, რაც ქუთაისის ბამბეულის გაერთიანების საქსოვ ფაბრიკაში ქვეოსტატად მუშაობს ო. გვენეტაძე. იგი საწარმოს ერთ-ერთი მოწინავე რაციონალიზატორია. ამ ათი წლის მანძილზე მან შემოიტანა და წარმოებაში დანერგა ათობით მნიშვნელოვანი წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტი მილიონობით მანეთით განისაზღვრება. ქვეოსტატ ო. გვენეტაძის ბრიგადა ახლა ფართო მოხმარების საქონელს უშვებს. მქსოველები მხოლოდ საუკეთესო პროდუქციას ამზადებენ, ამასთან თვითეული მათგანი დღიურ დავალებას 25-30 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს. ბრიგადის კოლექტივი კომუნისტური შრომის ხაპატიო წოდებას ატარებს. სურათზე: ქვემოთ — ო. გვენეტაძე.

ფოტო ლ. ხერხეულიძისა.

სოფლის კომუნისტთა დიდი გამოცდა

ეიმდინარე წელი სერიოზული გამოცდაა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის. მკაცრი, გაჭიანურებული ზამთრით გამოწვეული სიძნელეები და საშუალოთა გაზრდილი მოცულობა მათგან ძალების დაძაბვას, ახალი რეზერვების მობილიზაციას მოითხოვს.

შორს წაგვიყვანს მარტო ჩამოთვლაც კი იმ საზოგადოებრივ მეურნეობათა პირველადი პარტორგანიზაციებისა, რომელთა მთელი მეცადინეობა ზაფხულის ამ ცხარე დღეებში მიმართულია მინდვრის სამუშაოთა დროულად, მაღალხარისხოვნად მოწყობისაკენ. ადამიანთა ძალების სწორად განაწილება, ტექნიკის ეფექტურად გამოყენება, მასების საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ამაღლება, საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება— აი მათი მთავარი საზრუნავი.

კომუნისტთა დიდი წვლილია მაქსოვიელი იმაში, რომ წელს გორის რაიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უზარ მოსავლია და ნათესებსაც კარგი პირი უჭირს. ტყვიავის, ფლავის, დიცის კოლმეურნეობების, ბერბუკის, ვარიანის, კარალეთის, ძევერის, შავშების საბჭოთა მეურნეობების კომუნისტთა დიდი უპირატესობა მატერიალური წარმოების სფეროშია დასაქმებული. ისინი ავანგარდში არიან, მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის მაგალითს უჩვენებენ და აღფრთოვანებენ მშრომელთა ფართო მასებს. პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიკომი კომუნისტებზე დაყრდნობით და მათი მეოხებით ზეგავლენას ახდენენ სამეურნეო საქმიანობის ყველა უბანზე. მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ცენტრი უშუალოდ გადატანილია მინდვრად.

წარმოების განვითარებისათვის, საზოგადოებრივი სიმდიდრის გამრავლებისათვის დაუცხრომელი ზრუნვის მაგალითს იძლევა მაზარაძის რაიონი, რომელმაც რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველად დიდი გადამტები შესარულა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. წარმატებას მიაღწიე ამ მხრივ აგრეთვე აჭარის ასს რესპუბლიკის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ხობის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, წყალტუბოს რაიონების მშრომელებმა.

ბუთწლედის მეორე წლის წარმატებით დამთავრების ყველა პირობა აქვს წითელწყაროს რაიონს, რომელიც ფართო ფრონტით აწარმოებს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ აქ ოთხმაგად შესარულეს მეცხოველეობის „ახალი ხელის“ ხელაფის ჩადების გეგმა.

სამშობლოს ეკონომიური ძალერების განმტკიცების კეთილშობილურ მიზანს ისახავს რესპუბლიკის მშრომელთა მთელი რიგი პატრიოტული თაოსნობები. მაგალითად, ყვარელელმა, გალელმა და ხობელმა მესინმდგომებმა აღმართეს ამ კულტურის უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლის დროშა, თეირეწყაროელი მშრომელები გამოვიდნენ ინიციატივით — შევუქმნათ საზოგადოებრივ მეცხოველეობის მტკიცე საყრდენი ბაზა, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის კომკავშირული კომბაინერის დ. ბუცურაულის მოწოდებით კი ჩვენს რესპუბლიკაში გაჩაღდა კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება თავთავიან მარცვლეულ კულტურათა შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ასაღებად.

მაგრამ როცა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობათა პირველადი პარტორგანიზაციები ბევრ კიდევ საკმაოდ მიზანსწრაფულად როდი მუშაობენ. ისინი ნაკლებ გავლენას ახდენენ წარმოების განვითარებაზე, ურიგდებიან უყაირათობას, არ იჩენენ ინიციატივას ძირეული ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტაში, სუსტად ეწევიან მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, ნელა ნერგავენ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას, სათანადოდ არ ზრუნავენ ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

რედაქციაში შემოსული სიგნალები მოწმობენ, რომ ზოგან დაბალია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივნისის პლენუმმა განიხილა საკითხი: „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები 1972 წელს ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების მოვლის, მოსავლის ორგანიზებულად აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მეცხოველეობის საკვების დამზადების უზრუნველყოფის საქმეში. ჩვენს ხელთ არის პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, რომლებიც მოქმედების საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს.

წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს ახალი დიდი მიზნები აქვთ ასაღები. გასული წლების მაგალითი გვიჩვენებს, რომ ამ მიზნების წარმატებით აღებაც სავსებით შესაძლებელია, თუ პარტიულად, ხალხმეფოებრივად მივუდგებით იმ რიოული ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დაკავშირებულია მოსავლისათვის ბრძოლასთან, ბუთწლედის დავალებათა შესრულებასთან.

სოფლის კომუნისტთა წინაშე მდგომი დიდი ამოცანები მოითხოვს გადაჭრით ავამაღლოთ საზოგადოებრივ მეურნეობათა პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, განვამტკიცოთ პარტიული დისციპლინა, პრინციპულად მოვთხოვოთ კომუნისტებს საწესდებო მოვალეობათა შესრულება, ამასთან უყრადღებით მოვეკიდოთ მათს წინადადებასა და შენიშვნებს.

ეკონომიკის განვითარება მთავარია კომუნისტური პარტიის მოღვაწეობაში. ამიტომ პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები მოწოდებული არიან გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა საზოგადოებრივი მეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციებისადმი, აამაღლონ მათი აქტივობა, აღწარდონ მეურნეობის საქმეებისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობა, დაეუფლონ დიდ გავლენელ საუკეთესო გამოცდილება. პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკები ხშირად უნდა იმყოფებოდნენ პარტორგანიზაციებში, კონკრეტულ დახმარებას უწევდნენ და პრაქტიკულად ასწავლიდნენ სოფლის კომუნისტებს, მათს თავკაცებს მასებთან ლენინურად მუშაობას.

ცხადია, არ შეიძლება გავწოთ სამეურნეო ხელმძღვანელთა მაგივრობა, დავკანონოთ მათი როლი და ავტორიტეტი კოლექტივში.

კომუნისტი, როგორც პოლიტიკური მებრძოლი, იწრთობა და ყალიბდება მხოლოდ აქტიურად მოქმედ ორგანიზაციაში. ამიტომ საზოგადოებრივ მეურნეობათა პარტორგანიზაციები მოვალენი არიან გააძლიერონ კომუნისტთა პასუხისმგებლობა თავის ორგანიზაციასა და მთლიანად პარტიაში საქმეთა მდგომარეობისათვის, აამაღლონ წარმოებაში მათი როლი, შემოქმედებითი ინიციატივა, ღვთისმოქმედება. სამრეწველო საწარმოების, შენებლობებისა და ტრანსპორტის პარტორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათაც გარკვეული როლი ეკისრებთ სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ახლოვდება დიადი იუბილე — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი. სოფლის პარტორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ამ მნიშვნელოვანი თარიღისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებას, უზრუნველყონ მისი სიჯანრეობა, შედეგების სისტემატური შემოწმება. ფართოდ გაჩაღონ პოლიტიკური მუშაობა უშუალოდ მინდვრად, ჩაის პლანტაციებში, ხეხილის ბაღებსა, ვენახებსა და მეცხოველეობის ფერმებში, გააკეტიურონ კომკავშრომელ, პროფკავშრომელ ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოღვაწეობა.

სოფლის კომუნისტთა საქმეებს თვით ბოსავალი შეეჯამება. მაშ ვიშრომოთ ისე, რომ ეს შეფასება იყოს მაღალი, რომ თვითეულმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ შეასრულოს სახელმწიფო დავალებაც და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებაც!

მიფრინავს „კოსმოს-502“

1972 წლის 13 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-502“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

იკისრე — შეასრულე კიდეც!

ნერგავენ ახალ ტექნიკას

თბილისი. („კომუნისტის“ კორ. **რ. ჭელიძე**). ალმავლობით შრომობს ხუთწლედის მეორე წელს ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივი, რომელიც გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. წლის განვლილი ექვსი თვის მანძილზე მეშუშეებმა შარშანდელთან შედარებით 2 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.426 ათასი მანეთისა გამოუშვეს 1.458 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია და მოახერხეს 1.907 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, რაც დავალებას 60 ათასი მანეთით აღემატება. ქარხნის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა ავრეთვე ნატურ-პროდუქციის გამოშვების დავალებაც, მომხმარებელს ექვსი თვის გეგმის გადამეტებით გაუგზავნა 580 ათასი ბოთლი.

ქარხნის კოლექტივი ზრუნავს მომავლისათვის, წარმოებაში ნერგავს ახალ ტექნიკას, ტექნოლოგიას. ახლახან კაზმის დამამზადებელ საამქროში დაამონტაჟეს მარმარილოს ფხვნილის გადამმუშავებელი ხაზი, რომელიც გააადვილებს ბოთლების დასამზადებლად საჭირო ამ მასალის გადამუშავების რფულ პროცესს და საგრძნობლად გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. ახალი ხაზის ამუშავებით მექანიზებული გახდება მარმარილოს ფხვნილის გადამუშავების, მიზიდვის და შუშის ნარევში ჩაყრის პროცესები, რაც დიდ ეკონომიას იძლევა.

დაწინაურდნენ

თბილისი. („კომუნისტის“ კორ. **რ. ჯელიძე**). ხაუბილეო შეჯიბრებას სულ უფრო აფართოებენ თბილისელი გვირაბმშენებლები, რომლებიც ბევრ მნიშვნელოვან ობიექტს აგებენ როგორც ქალაქად, ისე სოფლად. თბილგვირაბმშენის კოლექტივმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ექვსი თვის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელა № 212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კოლექტივმა, რომელსაც გ. ჯაფელი ხელმძღვანელობს.

აღსანიშნავია მეტრომშენებელთა კბრგი მუშაობა საბურთალოს მიმართულებით. აქაურ კოლექტივებს შორის ქების ღირსია № 27 უბანი (უფროსი ე. ყიფიანი), რომელიც ახლა სადგურ დელისს აკეთებს და ღია წესით გაჰყავს გადასარბენი გვირაბები. ამ უბანმა ექვსი თვის დავალება 120 პროცენტით შეასრულა.

თბილგვირაბმშენებლები ახალი აღმავლობით განაგრძობენ შრომას წლის მეორე ნახევარშიც, რათა ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს.

ემსახურებიან მოსახლეობას

თბილისი. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ვადამდე შეასრულეს ნახევარი წლის დავალებები, მოსახლეობას გეგმით გათვალისწინებული 9.528 ათასი მანეთის ნაცვლად გაუწიეს 9.530 ათასი მანეთის მომსახურება. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვის და რემონტის თბილისის, სამოქალაქო მომსახურების ტრესტის, საქალაქო ლომბარდის, ქალაქის ცხობათა ბიუროს, სასწავლო-საწარმოო კომბინატის კოლექტივები, — აცხობენ რედაქციას თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსმა გ. შავკაციშვილმა.

ენერგეტიკოსების შრომითი მიღწევები

თბილისი. სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის კოლექტივმა ფართოდ გაიხადა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და წლის პირველ ნახევარში ელექტროენერგიის გამომუშავების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გამომუშავებულია 2.939.602 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, რაც დავალებას 43.600 ათასი კილოვატ-საათით აღემატება.

დაზოგილია 700 ტონა პირობითი სათბობი, მნიშვნელოვნად შემცირებულია გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება და მიღებულია 198 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ი. ბერია.

გაერთიანებამ გაჯაჭვა

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). საწარმოო გაერთიანება „თბილთამბაქოს“ (გენერალური დირექტორი ბ. ჯაკელია) კოლექტივმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი წარმატება მოიპოვა. მეთამბაქოეებმა ნატურ-პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 104 პროცენტით შეასრულეს. რეალიზაციის — 104,4 პროცენტით და დავალებას 1 მილიონ 370 ათასი მანეთით გადაჭარბებს. მომხმარებლებმა გეგმის გადამეტებით 244 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი მიიღო.

მეთამბაქოეებმა მოწყობიერების გამართული მუშაობით გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 4,3 პროცენტით აამაღლეს, დაზოგეს დიდძალი ნედლეული, მნიშვნელოვნად შემცირეს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება და მოგების გეგმას დიდად გადააჭარბეს.

ჩვენი მიმოხილვა

მეტი ბოსტნეული, ხილი...

ზაფხული პერიოდში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი სხვადასხვა ბოსტნეულით მოსახლეობის უზრუნველყოფას. უხვად შემოვიდა კიტრი, ბამიდორი, კომბოსტო, ხახვი, ნიორი... ამჟამად დიდ მუშაობას ეწევიან დამამზადებელი ორგანიზაციები, რომლებიც სავაჭრო მაღაზიებს აშარაგებენ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 10 ივლისის ცნობებით მეურნეობის ყველა კატეგორიის ხაზით შესყიდულია 29.510 ტონა ბოსტნეული, წელს გეგმით კი უნდა დამზადდეს 175.000 ტონა.

მარტო კიტრი გეგმით უნდა დამზადდეს 11.912 ტონა, დამზადებულია 2.322 ტონა. გეგმით გათვალისწინებული 37.151 ტონიდან კომბოსტო დამზადებულია 17.235 ტონა. ხახვი უნდა დამზადდეს 19.900 ტონა. ბოსტნეულის ყველაზე დიდი მწარმოებელია **გარდაბნის** რაიონი, რომელმაც უნდა დაამზადოს 45.500 ტონა ბოსტნეული. აქ 10 ივლისისათვის დამზადებული იყო 12.103 ტონა. **მარნეულის** რაიონში ბოსტნეულის დამზადების გეგმა 14.870 ტონას ითვალისწინებს, დამზადებულია გეგმის 37 პროცენტი.

ბევრ რაიონში ბოსტნეულის დამზადება ახლა ჩაღდება. მაგალითად, **წყალტუბოს** რაიონმა გეგმით უნდა დაამზადოს 17.040 ტონა ბოსტნეული, გეგმის შესრულება 11 პროცენტს უდრის. წყალტუბოელებმა უნდა გააძლიერონ ბოსტნეულის დამზადების ტემპი. ასევე ითქმის **გორის** რაიონზე, რომელმაც გეგმით უნდა დამზადოს 11.183 ტონა ბოსტნეული. **სამტრედიელმა** მებოსტნეებმა 11.930 ტონიდან დამზადეს 2.637 ტონა.

ათასობით ტონა ბოსტნეული უნდა დაამზადონ **ხაშურის, ჭარელის, კასპის, ლაგოდეხის, მცხეთის, წულუკიძის, თერჯოლის, ვანის რაიონებმა, აფხაზეთისა** და **აჭარის** ასს რესპუბლიკებმა, **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიურმა ოლქმა. მათ უნდა მიიღონ ენერგიული ზომები ბოსტნეულის დამზადების ტემპის გასაძლიერებლად, არ დაუშვან დამზადებული ბოსტნეულის გადაზიდვის შეფერხება, ყოველდღიურად ახალი ბოსტნეული უნდა მივაწოდოთ მომხმარებელს. ამ საქმის დაყოვნება კი ამ მალეფუჭად პროდუქტებს უვარგისს გახდის.

წელს ცუდი როდია კურკოვანი ხილის მოსავალი. გეგმით სულ შესყიდულ უნდა იქნას 48.150 ტონა კურკოვანი ხილი, დამზადებულია 11.207 ტონა. კურკოვანი ხილის დამზადების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს **ვანის, ზესტაფონის, ლანჩხუთის** რაიონებმა. ისინი ხილის დამზადებას განაგრძობენ.

კურკოვანი ხილის დამზადების ტემპი გაძლიერეს ქასპის, ყვარლის, მარნეულის, ბოლნისის, სამტრედიის, წულუკიძის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, გეგეჭკორის, ზუგდიდის რაიონებმა და ტყიბულელმა მეხილეებმა. **დავაჩქაროთ ბოსტნეულისა და ხილის შესყიდვა-დამზადება და დროულად მიწოდება მომხმარებლისათვის!**

საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მოლაპარაკება

14 ივლისს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოლაპარაკება ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან აზიზ სიდეკისთან, რომელიც მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში.

მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელმაც საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების სულისკვეთების შესაბამისი მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის სხვადასხვა საკითხებზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლის საკითხებს, ვინაიდან ახლო აღმოსავლეთში მატულობს დაძაბულობა და. ისრაელი და მისი მომხრე იმპერიალისტური ძალები ობსტრუქციონისტულ პოზიციას ადგანან. მხარეებმა გმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირსა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკას შორის ტრადიციული მეგობრობისა და ნაყოფიერი ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობის **გამო და განაცხადეს, რომ მზად არიან კიდევ უფრო გააფართოონ** იგი. (საკვლევი).

იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი

ხარკოვი, 13 ივლისი. (**საკვლევი**). დღეს აქ დამთავრდა პარტიის საქალაქო კომიტეტების მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტების დირექტორთა სამდღიანი ზონალური თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ უკრაინის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, მოლდავეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, დაღესტნის, ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის, აგრეთვე კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, როსტოვის, კურსკისა და ბელგოროდის ოლქების წარმომადგენლები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის ვამგემ გაბდულინმა გააკეთა მოხსენება მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტების ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მზადებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა და გამოსულებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ხელმძღვანელი კადრებისა და ინტელიგენციის სწავლების საკითხებს, მშრომელთა ეკონომიურ **განათლებასა და** ინტერნაციონალურ აღზრდას, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებას. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ნახევარმა მილიონმა კაცმა დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტები. ახლა ამ უნივერსიტეტებში სწავლობს 250 ათასი პარტიული აქტივისტი.

თათბირის მონაწილენი გაეცნენ უკრაინის კომპარტიის ხარკოვის საქალაქო კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის მუშაობის გამოცდილებას, იყვნენ საწარმოებში.

მეგობრული ვიზიტით

13 ივლისს მოსკოვში მეგობრული საქმიანი ვიზიტით ჩამოვიდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი **აზიზ სიდეკი.**

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ენუკოვის აეროდრომზე ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები **ნ. ტ. ფედორენკო, ალ. ალ. გრეჩკო, ბ. ბ. ბეგეევი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის - სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ვ. არხიპოვი** და სხვა ოფიციალური პირნი.

საფრენ მინდორზე ჩამწკრივდა მოსკოვის გარნიზონის ჯარების საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულის უფროსმა უმაღესი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს. გაისმა ორი მეგობარი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

აზიზ სიდეკმ და ა. ნ. კოსიგინმა ჩამოიარეს საბჭოთა მეომრების ფრონტი. მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები გულთბილად მიესალმებოდნენ ეგვიპტელი ხალხის წარმომგზავნელებს. (საკვლევი):

თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. ს. პოლიანსკი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი,** სსრ კავშირის მინისტრები **ა. ა. გრომიკო, ა. ა. გრეჩკო, ბ. ბ. ბეგეევი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის - სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ვ. არხიპოვი** და სხვა ოფიციალური პირნი.

საბჭოთა-ეგვიპტური ურთიერთგაგებისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროში ჩაიარა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან **აზიზ სიდეკის** ოფიციალური მოლაპარაკებანი, რომელიც მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში.

მოლაპარაკებანი, რომელიც ეგვიპტის ხელმძღვანელობამ **ანვარ სადათმ** ეგვიპტეში ჩამოსულ **ალექსეი კოსიგინს** ანდო, ეგვიპტეში ჩასულ **ალექსეი ტოლუბეევ

შეხვედრები ანჯელასთან

თხუთმეტ ათასზე მეტი კაცი მოვიდა ანჯელა დევისთან შეხვედრაზე, რომელიც ნიუ-იორკის უზარმაზარ დარბაზში „მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართა. ბუენოსაიერი ოვაციით მიესალმნენ ანჯელას ისინი, ვინც თითქმის ორი წელი იბრძოდა მისი განთავისუფლებისათვის.

დასავლეთის ბურჟუაზიული პრესა, ცდილობს რა თავი დააღწიოს „პარცხის გრძნობას, აქებს ამერიკის შეერთებული შტატების იურიდიულ სისტემას: შეხედეთ, ამერიკელი თემიდა საბოლოოო ანგარიშში ფხიზელი აღმოჩნდა, მართალია, მან ხელი აღმართა უდანაშაულო ადამიანზე, მაგრამ არ დაარტყა, მაგალითად, ლონდონის გაზეთი „ტაიმსი" ანჯელა დევისის საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის თავმჯდომარეს კი არ ხედავს, არამედ მის „ეკმაარიდ სამართლიანობას". ამგვარი ფარისევლური და დამტკბარი ტონით მოთქვამდა ბოლანდიური გაზეთი „დე ტელეგრაფი". ამერიკული პრესაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: მხოლოდ აღფრთოვანებას გამოთქვამს. ნიუ-იორკის ბულვარული გაზეთის „დეილი ნიუსის" პირველი ივლისის ნომრის სარედაქციო სტატიაში ცამდეა აყვანილი ამერიკული მართლმსაჯულების „სამართლიანობა".

ნიუ-იორკის უდიდესი დარბაზის ტრიბუნიდან მამაცმა ამერიკელმა კომუნისტმა ჭალმა ანჯელა დევისმა ამხილა ფალსიფიცირებული პროცესებისა და სასამართლო ფარსების ამერიკული სისტემა. ანჯელამ მოიყვანა გრძელი სია პოლიტიკური პატიმრებისა, რომლებიც ახლა შეერთებული შტატების საპყრობილეებში იტანჯებიან. მან მოიგონა ყველას იმათი სახელები, ვინც დაკარგა ჯანმრთელობა, იმათი სახელები, ვინც სიცოცხლე დაკარგა.

მათ ალბათ სურთ, — თქვა ანჯელამ, გულისხმობდა რა ამერიკელ ხელისუფალთ, — რომ მე მადლობა გადავუხადო საპყრობილეში გატარებული თვეებისათვის, როცა უდანაშაულო ვიყავი, იმ ასეულ წლობით საპყრობილეში ჯდომისათვის, რაც ჩემმა ხალხმა დაკარგოვა. ანჯელამ ხაზი გაუსვა, რომ მისი ბედი მხოლოდ ეპიზოდია ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

— იქნებ მათ ბგონიათ, — გაიცინა ანჯელამ ტრიბუნიდან, — რომ ყველა კომიტეტი, რომელიც ჩემი საქმეების გამო გაიხსნა აქ, შტატებში, სხვა ქვეყნებში, დაიხურება. ისინი ღრმად ცდებიან. ვიდრე არ მოისპობა რასიზმი, ვიდრე ბოლო არ მოეღება ვიეტნამის ომს და ნეოფოლონიალიზმს აფრიკაში, ბრძოლა გაგრძელდება.

შეხვედრა ანჯელასთან საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის სოლიდარობისა და ქვეყანაში არსებული წესწყობილების წინააღმდეგ მოძრაობის აქტივისტთა ძალთა დემონსტრაცია იყო. „მედისონს სკვერში" მოვიდნენ ზანგები, პუერტორიკოელები, თეთრკანიანები, ახალგაზრდები, ქალები. ბევრნი სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოვიდნენ. აუდიტორიის წინაშე ანჯელას მიესალმა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ერთვნული თავმჯდომარე ჰენრი უინსტონი.

„თავისუფალ" ამერიკაში ანჯელა ძალულებულია ტყვიაგაუმტარი მინის დაფარული ტრიბუნიდან ელაპარაკოს ხალხს. ეს ზომა გამართლებულია, რადგან ეგრეთწოდებული ეროვნული აღორძინების პარტიისა და ებრაელთა დაცვის ლიგის „ულტრების" ჯგუფები ანჯელას შესახვედრად მოსულებს ხვდებოდნენ პლაკატებით: „სიკვდილი ანჯელას!" და „ჩამოკიდეთ ანჯელა!"

ანჯელას განთავისუფლების ეროვნული გაერთიანებული კომიტეტის წევრი რობ ბაკერი ამბობს: „ახლა ძირითადი მოსაზრება, რომელმაც უნდა განსაზღვროს ანჯელას საქმიანობა უახლოეს მომავალში, ეს არის მოსაზრება მისი პირადი უშიშროების შესახებ. დგება საკითხი, სახიფათოა თუ არა მისთვის ახლა საკუთარ ქვეყანაში დარჩენა".

მაგრამ რასისტთა მუქარის მიუხედავად ანჯელასთან შეხვედრა დღესასწაული იყო. გამოდიოდნენ პოპულარული მსახიობები, ცნობილმა მომღერალმა პიტერ ს

ერმა დარბაზს შესთავაზა ერთად ემღერათ. დარბაზი მღერიდა და ყველას ეგონა, თითქოს კეთილი ნების ყველა ადამიანი მოსულიყოს იმ საღამოს დარბაზში.

ახალი ამბების საააგენტოს კორ.

ბარბაროსული დაგომგვა

ჯანოი, 14 ივლისი. (საკდესი). ჰაიფონი იწვის. ამერიკის ავიაციამ ახლა თავისი იერიშების ობიექტად აირჩია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეს დიდი ხანვასადგურო ქალაქი.

10 იულისს ღამით ამერიკის თვითმფრინავებმა ბომბები დააყარეს ჰაიფონის ცენტრალურ ნაწილს. არის დიდი წესვერტილი მოსახლეობაში. დაინგრა და დაზიანდა 200-მდე შენობა, მათ შორის საცხოვრებელი სახლები, ქალაქის თეატრი, სკოლა.

დღეს რამდენიმე ამერიკელმა თვითმფრინავმა გადაფრინა შიდა რეიდსადაც სოციალისტური ქვეყნების გემები დგანან. შემდეგ თვითმფრინავებმა დაუნდობლად დაბომბეს ნავსადგურის მიდამოები და თვით ქალაქი, რასაც კვლავ ნგრევა გამოიწვია.

ჯანოი, 14 ივლისი. (საკდესი). თავს დაესხნენ ჰაიფონის ცენტრალურ ნაწილს. არის დიდი წესვერტილი მოსახლეობაში. დაინგრა და დაზიანდა 200-მდე შენობა, მათ შორის საცხოვრებელი სახლები, ქალაქის თეატრი, სკოლა.

ბელგრადი

სრული კმაყოფილება

14 ივლისი. (საკდესი). სავსებით კმაყოფილი ვარ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 26-ე სესიის შედეგებით და მინდა აღვნიშნო გულითადი მასპინძლობა, რომელიც გაგვიწიეს, განაცხადა მოსკოვიდან ბელგრადში დაბრუნების შემდეგ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვიჩის თავმჯდომარემ ჯ. ბიეფიჩმა

ჯ. ბიეფიჩმა აღნიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნების წილი იუგოსლავიის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში 30 პროცენტს აღემატება და რომ იუგოსლავია ცდილობს გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა საქონელგაცვლისა და ეკონომიური თანამშრომლობის სხვა თანამედროვე ფორმების, კერძოდ, კოოპერირების, სპეციალიზაციისა და ერთობლივი კაპიტალდაბანდებების შემდგომი განვითარებისათვის.

საყურადღებო აღმასრულებელი ვიჩის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იუგოსლავიის დელეგაცია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიაზე დიდი ყურადღებით იღებენ თვალს და აქტიურად მონაწილეობდა შარშან მიღებული კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის შედეგების შეჯამებაში.

1964 წელს იუგოსლავიასა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს შორის დადებული შეთანხმების სულისკვეთებით მიკიღეთ მონაწილეობა ყველა იმ საკითხის განხილვაში, რომლებიც საინტერესოა როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი პარტნიორებისათვის. ჩვენი მონაწილეობა განსაკუთრებით აქტიურია იმ დარგებში, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ იუგოსლავიის ეკონომიკისათვის.

ბონი

კანცლერ ბრანდტის ინტერვიუ

14 ივლისი. (საკდესი). რომორც კანცლერმა ვ. ბრანდტმა განაცხადა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ეცდება ევროპაში „ცივი ომის" ატმოსფეროს ალმოფხვრის, ევროპელ ხალხთა ურთიერთობის ნორმალიზაციისა და ევროპის ერთიანობისა და ერთობლივ ევროპულ ინტერესებზე დაფუძნებული ევროპული უსაფრთხოებისა და ევროპული ეროვნული ინტერესებისა და ევროპული ეროვნული ინტერესებისა და ევროპული ეროვნული ინტერესებისა ... ევროპული ეროვნული ინტერესებისა ... ევროპული ეროვნული ინტერესებისა ...

ᲥᲛᲣᲠ ᲠᲮᲐᲮᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ. (საქინფორმის კორ.). სსრკ კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს მიეძღვნა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის თეატრალურ საზოგადოებათა გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ხელოვნების მუშაკთა სახლში.

სესია გახსნა სომხეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრკ კავშირის სახალხო არტისტმა დ. კაპლანიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ამერიკაკავკასიის თეატრალური კავშირურთიერთობა სახეობათა ხელოვნებათა ხელისუფლების წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა და გაფართოვდა. მან ხაზი გაუსვა ამერიკაკავკასიის თეატრების მჭიდრო კავშირურთიერთობას ყველა მოძმე რესპუბლიკის შემოქმედებითს კოლექტივებთან.

მოხსენება გააკეთა სომხეთის სსრკ სახალხო არტისტმა ხ. არუთინიანმა, რომელიც შეეხო ამიერკავკასიის თეატრებისა და მათი ურთიერთკავშირის განვითარების კანონზომიერებებს. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის თეატრების ჩეშმარიტი აუცილებელი შესაძლებელი გახდა მხოლოდ ხალხთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მომხსენებელი შეეხო ამიერკავკასიის ხალხთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა როლს თეატრებს შორის მეგობრული კავშირურთიერთობის განვითარებაში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვითარდება და მტკიცდება ტრადიციები, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს ახუნდოვმა, სუნდუკიანმა, ერისთავმა, ჯაბარლიმ, აბელიანმა, წერეთელმა, შირვანზადემ და სხვებმა.

მომხსენებელმა აღნიშნა რუსული თეატრის მნიშვნელობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში და შეეხო სტანისლავსკის, გორკის, რუსეთის კულტურის სხვა მოღვაწეების როლს აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის თეატრების განვითარებაში.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ა. ალიევმა თავისი მოხსენება მიუძღვნა აზერბაიჯანულ სცენაზე ქართული და სომხური დრამატურგიის თემას. თავის გამოსვლაში თეატრმცოდნე ხ. პოტეიანმა ილაპარაკა სომხურ სცენაზე ქართული და აზერბაიჯანული დრამატურგიის შესახებ. მან მოიყვანა მომძე რესპუბლიკათა თეატრების შემოქმედებითი თანამეგობრობის მაგალითები.

სესიაზე საინფორმაციო მოხსენება „ა. მარჯანიშვილი და გ. აბაშიძე“ გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ლ. ბალათიანმა.

სსრკ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის თეატრალურ საზოგადოებათა გაერთიანებული სამეცნიერო სესიები გაიმართება აგრეთვე ბაქოსა და თბილისში.

ᲛᲔᲐᲮᲚᲝᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲡᲗᲐᲜ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ოდის წინ ხის მერხზე იჯდა. მერხი მისი გაკეთებული იყო. მისი ბავშვობული იყო პატარა მაგიდაც. ახლა ამ მაგიდაზე მას დაკოჭრილი, დაღარული და თამბაქოსაგან შეყვითლებული ხელები დაეწყო. მთებზე ფიქრობდა. ეს მთები სუფსის გაღმიდან ვვიბნარევ სიგრილეში ლურჯად ჭვიოლნენ და ერთიანად ხიბლავდნენ. რიგა ამ მთების კორტოხები შეუყვითლდეოდათ და სოფელში მაჯარი დაიწყებდა დუღილს, ბერიკაოს რაღაცნაირი მთიენთილობა ეუფლებოდა. თვლემა მოერეოდა, განსაკუთრებით — თუ მზის ყურზე იჯდა. მიუფიცხებდა მზეს გულმკერდს და თვალებს წაჭუტავდა. თავი ჩაქინდრული ჰქონდა — მიწას ჩაჰყურებდა თითქოს. სინამდვილეში კი მისი გონება ძილ-ვეიძილითა და უცნაური ხილვებით დამძიმებულიყო. მოგონებათა ქაოსში გარკვევით მხოლოდ თავის ეზოს ხედავდა. და მერე, როცა რამდენიმე წამით გაახელდა თვალებს, თავის ეზოს ხედავდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ძილ-ვეიძილის ბუანისასთვის ვერ დაეღწია თავი.

ეზო მართლაც ლამაზი ჰქონდა პარმენს. ამ კუთხე-კუნჭულს შიალა ცხოვრება. ყოველ ხეს, ყოველ ქვას, მიწის ყოველ გოჯს მისი ხელი ატყვია. ოდის უკან რომ გულაბი დგას, მისი დარგული. გულაბი კი უკვე აღარ ისხამს. ერთიანად გამოშრა და გამოფიტა. ნახევარ საუკუნეზე მეტია დგას და გამოიფიტა. რაღაც ქვეშეცნეული ფიქრი აეტორტიალა ბერიკაოს. გულაბისაკენ იყურებოდა და იღიმეოდა.

მერე ღობეს სარი დაუსო — გაამაგრა. კმაყოფილი დარჩა. ჩიბუხი გააბოლა. იდგა ჩრდილოეთში. ბოლი იხვეოდა, იკლაკნებოდა, ნელა მიცურავდა ზევით და თანდათან უჩინარდებოდა. ქარი ხეთა ფოთლებს არხევდა, წარმოიქმნებოდა ხშული, უცნაური მუსიკა. მზის ნაკური შუქი ძლივს ატანდა ხეთა ფოთლებში და მამაკაცის მხრებს ეფრქვევოდა.

პარმენის ეზოს აქეთ საკოლმეურნეო პლანტაციები და ყანები ჩანდა. ფლეა ვიწრო გზაზე. ახლა სიჩუმე, სუფევდა სოფელში ერთ-ერთ ფეხზე. ბაგრამ მას თითქოს ისევ ესმოდა ორღობეში მიმავალი ქალების სიცილი, ხედავდა თითქოს როგორ მიარხევდნენ გოდრებსა და კალათებს და მათი სიცილიც იმ ჩუმ უცნაურ მუსიკას უერთდებოდა.

ხანდახან გზაზე მანქანაც ჩაიქროლებდა. მანქანა ან ჩაიანი ყუთებით იქნებოდა დატვირთული, ან ცარიელი მოქროდა უკან. ბაგრამ ჩაის ბიმღები პუნქტიდანაც და პუნქტისკენაც მიმავალი მანქანა ერთნაირად ააყენებდა ხოლმე მტკვრის. ეს მტკვარი ფენა-ფენად, ზანტად ეშვებოდა ღობის გადაღმა გადაზნექილი ჭორიკანა ხეებისაკენ და ფოთლებს ბზინვარებას უკარგავდა. წინათ ამ ბუნს დიდი ნიაღვრები დაეპატრონებოდა ხოლმე, ამიტომაც იყო — ბუნ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს დამშრალი მდინარის კალაპოტში მიიკლაკნებოდა და ჩამორეცხილი, გახეხილი ქვებითა იყო სავსე.

აქ ყველაფერი ნაცნობი იყო პარმენისათვის. ეს ბორცვები, ეს ცქნაფა, ქვებში მიკარგული ყურეფა — პაწია ღელე, რომლის ახლო მისი შორეული ბავშვობა ჩამოჭდარიყო და ღიმილით მოსჩერებოდა.

რაც სიბერეს მიაღწია, მერე დღე ერთია და ბარე ათჯერ, ზოგჯერ ოცჯერაც წამოელანდება თავისი ბავშვობა, თითქოს იქ, ყურეფას ლოდთან მართლაც ჩაუცქერია პატარა ბიჭი და სათამაშო წისქვილის გამართვას აპირებს.

ამ ხილვებს შეეჩვიონ.

ხანდახან იგი ცისარტყელასაც ხედავს.

ეს ცისარტყელა სოფლის მეორე ბოლოდან შუაღამითიდან ამოიქცევდა კუდს და ზედ წყაღის შტოსთან, მისი სახლის უკან, ნალიასა და ბოსტანს შორის ჩაესობოდა უხილავი წვრილი. რამდენჯერ ცდილა ახლოს ენახა ეს ცისარტყელა. მაგრამ გადადგამდა თუ არა მისკენ ნაბიჯს, ისიც გადაინაცვლებდა ადგილს. ჰოდა, მიეხვა ბერიკაცი, რომ ცისარტყელაც შორეულ ბავშვობასავით ხილშეუხები და პაპიროვანი იყო.

და ყოველთვის, როცა ამაზე ფიქრობდა, მისი ყოველი კუნთი მღეროდა. მისი სხეული ხარბად ირუტაკვდა მზეს და მღეროდა. ცოდან კი ლაჟვარდოვანი საფეხურებით მოსტუნავდა მზის ზვიმა და მთელი ნაგომარი ამ ზვიმით იყო დაფერილი.

გაახსენდა:

სუფსის ახლოს პატარა ყანა ჰქონდათ. ის ადგილი ქვებითა და დიდი წყალუხვობის დროს ჩამოშლილი ჯიარკენით იყო სავსე. ბევრი იმუშავეს, ვიდრე დასათესად მოამზადებდნენ მიწას. მართალია, ნაკვეთი ყველაზე ცუდი იყო მთელ იმ კუთხეში, მაგრამ ყანას კარგი პირი უჩანდა. აიყარა, მარა რა'აიყარა ტანი იმ ძირდალოცვილმა! ცას შესცინა, ნიაკს შეძღაღანა, ღარიბი ოჯახის იმედად ჩაისახა. ძნელი დრო იყო, იმ ყანის დასათესი სიმინდი რომ გადმობერტყეს გიჟიდან, მერე პარმენის ოჯახში მჭადს მუდამ სხვანაირი გემო ჰქონდა — ნასესხები ფქვილით აცხობდნენ და იმიტომ, იმ ნასესხები ფქვილის გამო იგრძნო პარმენმა, და ჩიბუხი ხელისგულზე დაიბერტყა. ამოიხვნეშა. აღარ დასცალდათ იმ ყანის მოტეხა მაშინ, ტარომ რეა ჩაიყენა თუ არა, ისეთი სეტყვა მოვიდა, დედამიწის გულში ჩაიტანა ყველაფერი. შიმშილის წელი დადგა. მოტყდა სოფელი, დასუსტდა. მოტყდა პარმენიც. მაგრამ მიწასთან ბრძოლის, სტიქიასთან ბრძოლის ენინ მაინც უღვივოდა გულში. „ერთი ისე რავა მოგკვდები, წელში არ გავიმართოო“. ჰოდა, გაიმართა კიდეც. ცას ამაყად შეხედა. მიწაზეც ფრთავე ფეხით დადგა და მხოლოდ ახლა გაიგონა ჩიტების ჭიკჭიკი. თითქოს აკამდე არც არსებობდნენ ისინი. თითქოს აქამდე ვერც გრძნობდა აყვავილებული ტყემლების სილამაზეს, თითქოს ახლა პირველად დაინახა — სუფსის ჯადოსნური ფერისცვალება და გაიღიმა. პირველად გაიღიმა ბედნიერი კაცის ღიმილით.

ნაგომარში ახალი — მუშურ-გლეხური ხელისუფლება მოვიდა.

აღარ ეხარბებოდა პარმენს სხვისი მიწა, აღარ სჭირდებოდა სუფსის ჯაგნარებსა და შაბნარში ბოტაილი.

საკუთარ მიწაზე მუშაობით გაუძღა გული.

ამიერიდან ცხოვრების ჩარხს წალმა ეწერა ბრუნვა. და ამ ჩარხის საჭესთან დადგა სილარიბიდან გამოსული ბლეი, უბრალო კაცი და მიწის მეთარეე — პარმენ წიტაიშვილი. მისი მეზობლები: შალვა გოგიბერიძე, ხარიტონ სტეფანია, დიმიტრი გუბელაძე, პოროფილე მეგვანაძე, ბესარიონ წიქარიძე, დიომიდე დოლიძე... მთელი სოფელი.

და მკვიდრდებოდა ყველგან ახალი შუქი. ათბობდა გულს. აღებდა კარებს.

მიახლოება საუკუნესთან

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ისევდებოდა ბეღლებში; ავსებდა საკუჭნაოებს...

რაც თავი ახსოვს, სულ ერთი სურვილი ჰქონდა — ახალთ-ახალი, ის მაკვარანჩხათ მოპრალეკალოში წამოეცვა ფეხზე. ახლა ამის გახსენებაზე ეღიმება. მაგრამ მაშინ, ჰე, მაშინ სხვანაირი დრო იყო. სოფელში კალოშის ნაკვალევს რომ ნახავდნენ, ერთმანეთს გადასცდავდნენ შურანარევი გაკვირვებით: — დიდ კაცს გაუვლიაო.

ანაა!

უცნაურია ცხოვრება. სულ აგერ, გუშინ — კალოშს დანაბერული კაცი მთელი ამ კუთხე-არეგარის ბატონ-პატრონია. ეზოს გადაღმა გასულაც არ დასჭირდება, ისე გაიგების ცხრა მთის იქითა ქვეყნის ამბებს, რადგან ტელევიზორი და რადიო ჩვეულებრივი ამბავია მისთვის.

ამაზე ფიქრობდა ბერიკაცი. იჯდა ოდის წინ, ხის მერხზე და ჩიბუხის ქაკაჭაკს უსმენდა. ხმირ ფოთოლოვანში დამსხლტარი მზის ერთი ანცი სხივი ხან კეფაზე ლაუწყებდა ბჟენას, ხანაც ისე მოულოდნელად ჩაუვარკვდა თვალებში, ერთიანად დაბრმავებდა.

მასთან ხშირად მოდიან სტუმრად — ხან ვინ მოიკითხავს და ხან ვინ. ხდება — მწერალს ან ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტსაც ჩამოუცდება ფეხი. ჰოდა, მაშინ უნდა ნახოთ როგორ ელაღდება პარმენი, ენათ ჩაიკრიფება. რას არ გაიხსენებს... სად არ შეახეტებს ამარი ფიქრი.

და უცებ:

— კაი კაცი იყო პლატონ მეგვანაძე. მშრომელი და მიწის ბაბები. მარა, — აქ სულს დაითქვამს, თამბაქოს კვამლს ღრმად ჩაისუნთქავს, და როცა კვამლს ჩაისუნთქავს, თვალებში უცნაური ნაპრწყლები აუციმციმდება. — მეფისა და მეშვიდეკაცების ბატონობის დროს ისიც ჩემსავით, სანადელოდ იღებდა მიწას. წელებზე იდგამდა ფეხს, მარა, — ისევ დაითქვამს სულს, ისევ ჩაისუნთქავს თამბაქოს კვამლს და ისევ ჩუმი ხმით განაგრძობს: — კვეყოფდა ორმოცდათი ფუთი მჭადი, არ გვეყოფოდა. ჰოდა, როცა კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, პლატონმა მითხრა: „პარმენ, რა ექნათ, შვიდივ კოლმეურნეობაში? აი, მთავრობა ჩემისთანა და ზენისთანა ადამიანების ქომაგია, მიწები მოგვცა, სინათლე და სწავლა მოგვცა. აზნაურები და ქვეყნის გამღლეტნი მოგვაშორა. რავა, ახლაც ცუდს კვირჩევს თუ“ „არ კვირჩევს“, — ვუთხარი, და მერე პლატონ მეგვანაძე ერთ-ერთი დამკვრელი კოლმეურნე გახდა. გაზეთში გაანწერეს, სურათიც გადაუღეს... მე სად ვიყავი? მეც გვერდით ვიდექი. აბა, სად ვიქნებოდი! ეს 1930 წელს იყო, მეც და პლატონიც უღარიბეს გლეხთა სიაში ჩაგვწერეს. კოლმეურნეობაც თავიდან სუსტი იყო, თუმცა რა ჩემი თქმა გინდათ, პირველ ხანებში სუსტი რომ იქნებოდა, ამას რა ფიცი-მტკიცე სჭირდება?! მაგრამ მეც და პლატონმაც პირველ წელსვე კოლმეურნეობიდან გაცილებით მეტი მიწამოქმედებითს კოლექტივებთან.

მოხსენება გააკეთა სომხეთის სსრკ სახალხო არტისტმა ხ. არუთინიანმა, რომელიც შეეხო ამიერკავკასიის თეატრებისა და მათი ურთიერთკავშირის განვითარების კანონზომიერებებს. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის თეატრების ჩეშმარიტი აუცილებელი შესაძლებელი გახდა მხოლოდ ხალხთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მომხსენებელი შეეხო ამიერკავკასიის ხალხთა კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა როლს თეატრებს შორის მეგობრული კავშირურთიერთობის განვითარებაში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვითარდება და მტკიცდება ტრადიციები, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს ახუნდოვმა, სუნდუკიანმა, ერისთავმა, ჯაბარლიმ, აბელიანმა, წერეთელმა, შირვანზადემ და სხვებმა.

მომხსენებელმა აღნიშნა რუსული თეატრის მნიშვნელობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში და შეეხო სტანისლავსკის, გორკის, რუსეთის კულტურის სხვა მოღვაწეების როლს აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის თეატრების განვითარებაში.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ა. ალიევმა თავისი მოხსენება მიუძღვნა აზერბაიჯანულ სცენაზე ქართული და სომხური დრამატურგიის თემას. თავის გამოსვლაში თეატრმცოდნე ხ. პოტეიანმა ილაპარაკა სომხურ სცენაზე ქართული და აზერბაიჯანული დრამატურგიის შესახებ. მან მოიყვანა მომძე რესპუბლიკათა თეატრების შემოქმედებითი თანამეგობრობის მაგალითები.

სესიაზე საინფორმაციო მოხსენება „ა. მარჯანიშვილი და გ. აბაშიძე“ გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ლ. ბალათიანმა.

სსრკ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის თეატრალურ საზოგადოებათა გაერთიანებული სამეცნიერო სესიები გაიმართება აგრეთვე ბაქოსა და თბილისში.

ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ

ᲣᲐᲠᲨᲐᲜ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲪᲔᲓᲜᲔᲜ ᲣᲜᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲔᲡ ᲣᲜᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲠᲕᲐᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

ᲕᲘ. ᲛᲝᲠᲑᲣᲜᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲒᲖᲐᲓ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲘᲡᲐ და საქართველოს ხალხებს ისტორიულად ბევრი რამ აკავშირებს. ამიტომაც არის, რომ საქართველოს საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა და იჩენს ბულგარული ხალხის კულტურისადმი, მისი მდიდარი ლიტერატურისადმი. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩვენი კლასიკოსები ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე და სხვები ფურნალებში „ეკერიასა“ და „მოამბეში“ ბეჭდავდნენ თარგმანებს ბულგარელ მწერალთა ნაწარმოებებიდან, აქვეყნებდნენ ნარკვევებს მათი გმირული ისტორიიდან. თავის მხრივ ბულგარელი ხალხიც, დიდ ინტერესს იჩენდა და იჩენს ჩვენი ქვეყნისა და მისი ლიტერატურისადმი. ბულგარეთში აბაიერთსელ დაიდგა სუმბათაშვილ-იუანების დრამა „ლალატი“, რომელსაც ივაზე ბაზოვმა ეწერა სტატია მიუძღვნა.

ჩვენი ხალხის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი 1934 წელს ბულგარელი ხალხის ბელადისა და საერთაშორისო მუშათა კლასის ღირსეული შვილის გიორგი დიმიტროვის ჩამოსვლა საქართველოში, კერძოდ — აჭარაში. ქართველმა ხალხმა „ლაიფციგის პროცესის გმირს“ ამაღელვებელი შეხვედრა მოუწყო. სტატიაში „საბჭოთა აჭარისტანის მუშებს, კოლმეურნეებს და მშრომელებს!“ დიმიტროვი წერდა: „საბჭოთა აჭარისტანი აჩვენებს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებს, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებათა ძმური თანამშრომლობა და მათი საერთო მუშაობა ახალი კულტურული და ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად იმ დროს, როცა კაპიტალისტურ მსოფლიოში ოფიშზი აღვიძებს ნაციონალურ შოვინიზმს, ამხეირებს ერთ ეროვნებას მეორის წინააღმდეგ და ამზადებს ხალხთა ახალ სასაკლაოს“.

სოციალიზმის პირობებში საბჭოთა და ბულგარეთის ქვეყნების ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას ახალი შინაარსი მიეცა. ეს განაპირობა ორივე ხალხის იდეებისა და მიზნების ერთიანობამ.

ახლა სსრ კავშირის მრავალ რესპუბლიკასა და ოლქს ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვს დამყარებული ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ცალკეულ ოკრუგებთან. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა აჭარისა და ბლაგოევგრადის ოკრუგის მშრომელთა ურთიერთობა.

შემთხვევითი არ არის, რომ ისტორიულად, ეკონომიურად და გეოგრაფიულად ბლაგოევგრადის ოკრუგსა და აჭარას შორის ბევრ საერთოს ნახულობენ. 1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ოტომანთა სამასწლიანი ბატონობის შემდეგ აჭარა დედასამშობლის დაუბრუნდა. იმავე ომის შედეგად ბულგარეთის ხალხებმა თავი დააღწიეს ოტომანთა უუფლებო მონობას, ხოლო პირნინეის მხარე, რომელშიც ბლაგოევგრადის ოკრუგი შედის, 1912 წელს დაუბრუნდა ბულგარეთს.

სოციალიზმისა და თავისუფალი შრომის დიდი წარმატებები ჩანს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოკრუგის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მაგალითზე. ოკრუგის ტერიტორია და მოსახლეობა დაახლოებით იმდენია, რამდენიც საბჭოთა აჭარაში. რელიეფურადაც დიდი მსგავსებაა ამ ორ ოლქს შორის. ყველას, ვინც ბლაგოევგრადის ოკრუგში მოხვდება, თვალწინ წარმოუდგება ზურმუხტოვანი აჭარის მთები და ტყეები, ციტრუსის ბაღები და თამბაქოს, ვენახის პლანტაციები, მაღლობებიდან გადმომჩქეფარე მდინარეები და ლაჟვარდ მოშრიალე სიმინდის ყანები. — აქ გარემოც ისეთია, როგორც ჩვენთან. რიგა თქვენთანა ვართ, თავს საკუთარ სახლში ვგრძნობთ,—განსაკუთრებული სითბოთი ამბობენ ბლაგოევგრადიდან სტუმრად ჩამოსულნი.

1964 წლიდან ბლაგოევგრადის ოკრუგისა და აჭარის მშრომელებს შორის განსაკუთრებით ახლოსული, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, ამ წლიდან დაიწყო მათ შორის პარტიული და სამეურნეო ხასიათის დელეგაციების ხისტემატური გაცვლა. 1964 წელს ჯონიოს ციხეში, აქ, სადაც ქართველები მომხდურ თურქებთან ჯაფფარებულ ბრძოლაში სისხლსა ღვრიდნენ, საფუძველი ჩაეყარა „მეგობრობის ბაღს“. ამ ბაღში მარადიული მეგობრობის სიმბოლოდ ნორჩი ნერგები ერთმანეთის გვერდით დარგეს ბლაგოევგრადის საოკრუგო კომიტეტის მდივანმა ხ. ტრიჩკოვმა, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაშვილმა, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. დავითაძემ და სხვა სტუმრებმა და მასპინძლებმა. მეგობრობის ნერგებმა შესანიშნავად იხარა და ახლა ლაღად შრიალებს მწვანეში ჩაფლული ბაღი. ამავე წელს ბათუმში ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა ბლაგოევგრადის ქუჩა. ისევე აჭარის სახელს ბლაგოევგრადის ერთ-ერთი ქუჩა.

ამ დღიდან მოყოლებული, ბლაგოევგრადისა და აჭარის მშრომელები ყოველწლიურად ცვლიან დელეგაციებს, ეცნობიან ერთმანეთის წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ერთმანეთს უზიარებენ მდიდარ გამოცდილებას.

ბულგარეთი აჭარიდან ოღუს ნატურალურ კოდეინს, ლაბორატორიულ ალკალოიდებს, ელექტროფაბებს, ნავთობპროდუქტებს, რაზლოგში საბჭოთა პროექტით აშენდა ჰიდროლიზისა და ფურაჟის ქარხანა. თავის მხრივ ბულგარელი მეგობრები გვიგზავნიან თამბაქოს, კონსერვებს. ახლახან საქართველოს სანაოსნოს შემაგა ბულგარეთში აშენებული შესანიშნავი ტანკერი „დროგობიჩი“. მომძე ხალხების ურთიერთობამ გამოხატულება ჰპოვა კულტურის სფეროშიც. ბათუმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა ბულგარელი დრამატურგის ი. პეიჩევის პიესა „ყოველი შემოდგომის საღამოს“, ხოლო ბლაგოევგრადში ბათუმის თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ქავთარაძემ დადგა ნ. დუმბაძის პიესა „ნუ გეშინია, ლადა“. აჭარის მუზეუმების გეზპოზიცია გაამდიდრა მეგობრობის ამსახველმა მდიდარმა ექსპონატებმა და ძვირფასმა საჩუქრებმა.

ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის ისტორიაში კიდევ ერთი ფურცელი ფურცელი ჩასწერა მომდინარე წლის იანვარში ბლაგოევგრადის ოკრუგის პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების დელეგაციის ჩამოსვლამ აჭარაში ბლაგოევგრადის საოკრუგო სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ვ. სანდევის ხელმძღვანელობით. სტუმრები გაეცნენ აჭარის რაიონებსა და ქალაქებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურის, მედიცინის და განათლების დარგში მოპოვებულ წარმატებებს, პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის მეთოდებს.

სტუმრები აჭარაში ერთ კვირას დარჩნენ. მათი ვიზიტი ბეიბეგდა კინოფირზე. ფირფას ბლაგოევგრადელ სტუმრებთან განშორება ისეთივე ამაღელვებელი გახდა, როგორც შეხვედრა.

მრავალფეროვან, ერთიან ოჯახად შედუღაბებულ საბჭოთა ხალხთან ერთად აჭარის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები და საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილება ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საუკუნედ განამტკიცონ ბულგარელი და საბჭოთა ხალხების ძმობა.

მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲐᲠᲬᲔᲠᲘᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲘᲝᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ რკინიგზის მშენებლობის საკითხი ჯერ კიდევ 1856 წელს დაისვა. ამას ნათლად მოწმობს საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის დოკუმენტები პირველწყაროები. ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის გაყვანის ძირითადი პირობების პირველი პროექტები თბილისშინაგან დნენ, რომ „რკინიგზა უნდა დაიწყოს შავი ზღვის სანაპიროზე ქ. ფოთის ან რედუტ-კალეს მახლობლად, წარიმართოს ქალაქების ქუთაისისა და თბილისის გავლით და დამთავრდეს კასპიის ზღვის პირად, ქ. ბაქოსთან“.

გზის მშენებლობის დაწყების ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა 1864 წლამდე გაგრძელებულა და მხოლოდ 1864 წლის 5 სექტემბერს დამტკიცებია იმპერატორს ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის პროექტი, რომლის ხაზის გაყვანას ითვალისწინებდა ფოთიდან თბილისამდე.

ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისათვის 1864 წელს კავკასიის მეფის ნაცვლის დაწესებულებაში შეიქმნა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის სამმართველო. ამავე წელს გზის მშენებლობის ყველა მოსამზადებელი საკითხის განსახილველად იქმნება „განსაკუთრებული კომისია“. ერთ-ერთი სხდომის (1864 წლის 17 დეკემბერი) მასალებში ლაპარაკია მშენებლობის უბნებზე, შემუშავლილი განაწილებაზე, სამუშაოთა წარმოების დროს ჯარის ნაწილების განლაგებაზე, ხაზის ტრასირებაზე, სამუშაო ხელსაწყოებზე, ავტეთვე იმის შესახებ, რომ „სამუშაო მთელ ხაზზე ფოთსა და თბილისს შორის გაყოფილია სამ ნაწილად. პირველი მოიცავს სამუშაოებს ფოთიდან ყვირილამდე, მეორე — ყვირილადან ბრაკალიდან და მესამე ბრაკალიდან თბილისამდე“.

არქივის მასალები მოწმობენ, რომ ცალკეული ეკრძო პირები მზად იყვნენ „ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობისათვის უხელმძღვანელათ და დაეთანხმნენ ბინათ იგი, თავიანთ პირობებს აყენებდნენ რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტები. ისტორიული არქივის მასალებში შემონახულია „ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის ძირითადი პირობების“ რამდენიმე პროექტი. ასე, მაგალითად, აქ არის ფრანგი ფელეიზენისა და რუსი კურატინის (1859 წ), ძმების ანანოვების (1865 წ.) და ინგლისელების პარკინსისა და ფორდერის (1867 წ.) პროექტები. სწორედ ეს „უკანასკნელი პროექტი იქნა დამტკიცებული 1867 წელს.

„ამ კონცესიის მიხედვით მთავრობამ ვალდებულება იკისრა 1870 წლის 1 იანვრისათვის დაამთავროს უკვე სახაზინო ხარჯზე დაწყებული მშენებლობა ზემოხსენებული გზის მიწის ვაკისისა, ხიდებისა და გზისთვის საჭირო ხელოვნური ნაგებობებისა და გადასვლა ისინი მთ ქვეშ მოქცეული მიწებითურთ საიე

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ᲬᲐᲣᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲔᲠᲒᲚᲝᲑᲐᲠᲘ

ᲛᲐᲛᲐᲛ ᲘᲐᲥᲝᲜᲘ ᲘᲡᲘ ᲛᲘᲘᲩᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲫᲚᲘᲔᲓᲐ, ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ, ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲓᲐ.

— ᲛᲝᲓᲘ ᲩᲘᲛᲗᲐᲜ, — ᲛᲝᲓᲘ! — ᲔᲫᲐᲧᲝᲓᲐ ᲛᲐᲛᲐ.

ᲦᲘᲐ ᲒᲐᲚᲘᲝᲜᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲤᲠᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲐᲥᲝᲜᲘ, ᲓᲐᲜᲐᲕᲐᲠᲓᲝᲓᲐ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ, ᲛᲔᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲖᲔ ᲨᲔᲐᲡᲣᲜᲯᲘᲚᲓᲐ, ᲛᲐᲛᲐ ᲒᲐᲨᲚᲘᲚ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲜᲯᲡ ᲓᲐᲛᲐᲧᲠᲘᲚᲐ, ᲒᲐᲣᲬᲕᲓᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲔᲫᲐᲧᲝᲓᲐ:

— ᲐᲯᲐ, ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲘ!

ᲘᲐᲥᲝᲜᲘ ᲓᲐᲐᲤᲠᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲔᲚᲖᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲨᲔᲣᲪᲘᲪᲝᲠᲓᲐ ᲡᲐᲙᲔᲜᲯᲡ.

— ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲒᲔᲣᲤᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲞᲐᲠᲐ, — ᲛᲘᲣᲚᲐᲠᲘᲡᲣᲚᲓᲐ ᲛᲐᲙᲐ ᲪᲘᲠᲝᲠᲓᲘᲡ ᲛᲮᲘᲡᲣᲤᲠᲘ ᲩᲘᲩᲡ, — ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲤᲠᲘᲜᲓᲘ ᲒᲐᲚᲐᲘᲐᲨᲘ!..

ᲘᲐᲥᲝᲜᲡ ᲡᲣᲡᲛᲝᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ, ᲨᲔᲤᲠᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲛᲝᲓ ᲒᲐᲚᲝᲑᲓᲐ.

ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲙᲐ ᲗᲘᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ, ᲘᲐᲥᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ. ᲛᲘᲗᲐᲜᲓᲐᲒᲐᲚᲘᲐᲠ-ᲛᲝᲗᲐᲜᲐᲒᲐᲚᲘᲐᲠ ᲛᲝᲗᲐᲮᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲣᲚᲝ, ᲨᲣᲨᲐᲑᲐᲜᲓᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲘᲞᲝᲕᲜᲐ...

— ᲜᲣᲗᲘ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ, ᲦᲘᲐᲡ ᲜᲣ ᲗᲣᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲚᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲙᲔᲚᲘᲡᲛᲔᲠᲔᲜᲘ, — ᲣᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲐ ᲦᲘᲓᲐᲡ ᲛᲐᲙᲐᲡ.

ᲦᲘᲐ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ. ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲪᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲛᲘᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲗᲐ — 80 ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲗ?

Ე. ᲯᲐᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘᲡ 104-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲡ ᲐᲐᲨᲔᲜᲝᲡ ᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲔᲡ 60 ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚ ᲛᲔᲢᲠᲡ. ᲗᲣ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲐᲥᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲐᲜ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲖᲔ, ᲛᲐᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲣᲚᲘ (ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ) ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲔᲡ 60 ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚ ᲛᲔᲢᲠᲡ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲡᲣᲚᲗᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲖᲔ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲜᲝᲠᲛᲐᲡ.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲛᲔᲣᲚᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲔᲣᲚᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲔᲣᲚᲚᲘᲡ?

Თ. ᲣᲗᲠᲐᲯᲕᲘᲚᲘ,
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ᲓᲐᲥᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲣᲚᲚᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲗᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲛᲘᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲗᲐ 80 ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲗ?

Ე. ᲯᲐᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘᲡ 104-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲡ ᲐᲐᲨᲔᲜᲝᲡ ᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲔᲡ 60 ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚ ᲛᲔᲢᲠᲡ. ᲗᲣ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲐᲥᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲐᲜ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲙᲠᲘᲢᲘᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲣᲚᲝ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲙᲠᲘᲢᲘᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲣᲚᲝ?**

Თ. ᲚᲝᲛᲫᲐᲫᲔ,
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

ᲝᲠᲚᲝᲑᲔᲨᲘ. Ვ. ᲛᲘᲠᲝᲑᲣᲜᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲨᲔᲒᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲗ, ᲒᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲡᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲘᲣᲓᲔᲛᲡ ᲡᲐᲑᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲗᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲛᲘᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲗᲐ 80 ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲗ?

Ე. ᲯᲐᲛᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠ ᲬᲔᲚᲚᲐᲓ ᲣᲩᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲠᲘᲢᲘᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲣᲚᲝ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲙᲠᲘᲢᲘᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲣᲚᲝ?

Თ. ᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲔᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲛᲘᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲗᲐ 15 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲗᲘᲡ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲗᲐ 15 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲗᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲛᲘᲣᲤᲚ